



# კომუნალური

# რეპრობლიკა

სახელმწიფო თეატრი

კვირა

კვირას 28 ნოემბერს

## „აბსალომ და ეთერი“

ორშაბათს 29 ნოემბერს ქართულ ენაზე იქნება „აბსალომი“, სამშაბათს 30 ნოემბერს „მარგალიტის მადიდებელი“, ოთხშაბათს 1 დეკემბერს „სიმფონიური კონცერტი“, პარაკლასი და ბელოუსოვის მონაწილე.

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 1002 1-1

დღეს 28 ნოემბერს სახელმწიფო დრამის თეატრში ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის დასაფლავების დღის გამო წარმოდგენა გადაიდებულია. მხოლოდ ხაბაძის თეატრში წარმოდგენა უსათროდ შესდგება.

1002 1-1 სახელმწიფო თეატრის დირექცია.

## ოფუკვათის საგარეო მართვის გაგებობა

სხვა დეკემბერს საერთო ყრილობას. განსახილველია: 1. გამგებობის მოხსენება, 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3. საერთო არჩევნები, 4. სასურსათო ბეღლების დაარსება, 5. უძრავ ქონებათა ჩაპორთმევა, 6. საფლავებზე დადგენილებები და სხვა.

1005 2-2

## სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტული-რუსთაველის პრ. № 21. ტელ. 8.07)

დღევანდელი წარმოდგენა (კვირის)

## „უპირგზინოე მუჟანი“

ვლ. ალექსი-მესხიშვილის დაგვიტყვი გამო, გადაიდგა სამშაბათს, 30 ნოემბერს. კვირის ბილეთები გამოდგება სამშაბათს.

შაბათს, დეკემბრის 4-ს პირველად ქართულ ენაზე ორიგინალური ტრადედია „გერმ-ზანია“ აღ. შანშიაშვილისა.

მუსიკა დ. არაუიშვილისა. ბალეტი და ხორა. ახალი დეკორაციები მხატვარის ვალ. სიღამონ-ერასთავისა. რეჟისორი აღ. ახმეტელი. ბილეთები კასაში.

## გამგებობა ბ. ბ. ალექსანოვის ტუბის და ჩულის წარმოების სააქციონერო საზოგადოების კავკასიაში

ბ. ფინანსთა მინისტრის წინადადებით იწვევს კვირას მ.წ. ნოემბრის 28-ს დღის 11 ს. ტფლისის ვაჭართა ბანკის ბინაზე.

ბ. ბ. აქციონერთა სასწრაფო საზოგადო კრებას განსახილველია საკითხი მთავრობის მიერ მთელი წარმოების შეტენის შესახებ. 1004 2-2

## ტფლისის ქალაქის გაგებობა

რომ ორშაბათს 29 ნოემბერს დღის 10 საათზე დანიშნულია. არქივის ბინაზე (უუკოვის ქუჩა № 11) საჯარო ვაჭრობა ძველი ქალაქზე. ვაჭრობა იქმნება ფუტოზორივი. მოვაჭრეებს შეუძლიათ წარმოადგინონ ფასები დახურულ პაკეტებში. ვაჭრობის დაწყების თანავე უნდა იქმნეს წარდგენილი 30000 მ. ბეთ. 3449 2-1

მთავრობის მიერ, უფლებდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით) **სამართლის რესპუბლიკა** გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გგ. პეტრის სტრიკ. 15 მან. 4-ზე გ. მან. სახელმწიფო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 300 მ. განცხ. საჯაროების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლო. უწყ. განცხადებ. ნი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-82.

## ბორჯომის სახელმწიფო გაეულის სამართლებლოში

სშირათ შემოდის თხოვნები გაეულის ფარგლებიდან შაჟის დათმობის შესახებ. რათა უბრალო მიწერ მოწერას შემდეგში ადგილი არ ექნეს, ამით ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამმართველო აცხადებს ყველა დაწესებულებათა უფროსების და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ ის მოკლებულია საშუალებას დააკმაყოფილოს შემთხვევითი იმ მიზეზისა გამო, რომ ბორჯომის მამულის ტყეებში მოიპოვება ხოლოდ საშენებელი და არა საშეშე მასალა. ის მცირე რაოდენობა შემისა, რომელიც შესაძლოა დამზადდეს მამულში, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სხვებზედ გაიცეს რადგან დამზადებულ შემის რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს თვით მამულის მოხელეთა მოთხოვნილებებს.

ბორჯომის სახელმ. მამ. სამმართველო. 1003 2-2

## ოფიციალური განცხადება

**განცხადება** სახელმწიფო კონტრაქტორის ამხანაგისა. 25 ნოემბერი, 1920 წ., № 468.

დათხოვნილია: სრულიად სამსახურიდან სახელმწიფო კონტრაქტორის კარის კაცი გიორგი კაკალას ძე ზალიაშვილი ა. წ. 25 ნოემბრიდან. № 469.

დათხოვნილია: სამსახურიდან თანახმად მისი თხოვნისა სახელმწიფო კონტრაქტორის ფოტის განყოფილების მოხელისა მოხელე ლაზარე გრიგოლის ძე ბახტაძე ა. წ. 20 ნოემბრიდან. № 470.

ინიშნება: სახელმწიფო კონტრაქტორის ფოტის განყოფილებაში კანცელარიის მოხელე ოლთა თურქიას ასული მოანგარიშე მოხელეთ ა. წ. 25 ნოემბრიდან. სახელმწიფო კონტრაქტორის ამხანაგი: კ. ანდრეიკაშვილი.

**გზა-ტყევილების და წყლით სავალ გზების სამმართველოს უფროსისა.** 2 ნოემბერი, 1920 წ., № 357.

დათხოვნილია: კანცელარიის მოხელის თანამდებობის დროებით აღმასრულებელად სამმართველოს ხორიგის მოვალეობის დაკისრებით ალექსანდრა ფხაკაძის ასული ა. წ. 20 ოქტომბრიდან. № 358.

მტკიცდება: ბათუმის დისტანციის უფროსის განკარგულება აღნიშნულ დისტანციის კანტორის მოხელის მიტროფანე ნუტუბიძის მისი თხოვნის თანახმად ა. წ. 26 ოქტომბრიდან დათხოვნის შესახებ. № 359.

განთავისუფლებულ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად მისი თხოვნისა მე-7 დისტანციის ტენიკოსის მოვალეობის აღმასრულებელი ტენიკოსი დუდნიკრეშეტნიკოვი ა. წ. 1-ლ ნოემბრიდან. № 360.

ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოს მე-4 დისტანციის უფროსის დროებით მოვალეობის აღმასრულებელი გოპაძე, თანახმად გზათა დეპარტამენტის დირექტორის განკარგულებისა ა. წ. 18 ოქტომბრის თარიღით № 3831, შეუდგა სატრანსპორტო საზოგადოების მთავრობის კომისიის წარმომადგენლის მოვალეობის ასრულებას ქ. ბორჯომში. № 381.

დათხოვნილი იქმნას: სამსახურიდან თანახმად მისი თხოვნისა სამმართველოს განყოფილების მოანგარიშის თანამდებობის მოვალეობის აღმასრულებელი ანასტასია ჯაიანი-სა ა. წ. 1-ლ ნოემბრიდან. № 362.

ლომბის აღმასრულებელი ანასტასია ჯაიანი-სა ა. წ. 1-ლ ნოემბრიდან. № 362.

უჭრქედდება შეგულება: ერთი კვირით სამმართველოს მორიგ მოხელის მოვალეობის აღმასრულებელს მართა ემუხვარის ასულს დედის მძიმე ავთომყოფობისა გამო ა. წ. 31 ოქტომბრიდან. 5 ნოემბერი, 1920 წ., № 363.

მტკიცდება: ბათუმის დისტანციის უფროსის განკარგულება აღნიშნულ დისტანციაში არსებულ სახელმწიფოების „დისტანციის 1, 2 და 3 რაიონის“-ს და მათი საზოგადოებო სახელმწიფოების „დისტანციის 1 და 2 უბანი“-ს შემოღების შესახებ ა. წ. 24 სექტემბრიდან. სამმართველოს უფროსი ინჟინერი ნ. კორინთელი.

**საქართველოს სენატის სამოქალაქო საკანცელიო დეპარტამენტის სადამინისტრაციო განყოფილებისა.** 16 ოქტომბერი, 1920 წ., № 28.

განთავისუფლებულ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ახალქალაქის მიერ უბნის მომრიგებელი მოსამართლე იოსებ სოლომონის ძე გულიაშვილი, თანახმად თხოვნისა, მიმდინარე 1920 წლის 6 ნოემბრიდან. თავმჯდომარის მაგიერ გრ. გველესიანი.

**საქართველოს სენატის თავმჯდომარისა.** 5 ნოემბერი, 1920 წ., № 39.

თავისუფლებულია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან საქართველოს სენატის იასაული ვლადიმერ ვასილის ძე ჯაფარიძე 1920 წ. ნოემბრის 5-დან, თანახმად მისი თხოვნისა. საქართველოს სენატის თავმჯდომარე დ. ხელთუფლიშვილი.

**დეპარტამენტის დირექტორისა.** [23 ნოემბერი, 1920 წ., № 417.

განთავისუფლებულია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელი იულია ალექსანდრეს ასული მხეიძისა ა. წ. ნოემბრის 16-დან. დეპარტამენტის დირექტორის თ. ა. ივ. ბერიაშვილი.

## არა ოფიციალური განცხადება

## გთავრობაში

უკანასკნელი დადგენილებანი. მთავრობის თავმჯდომარის მოხსენების თანახმად დაადგინეს თანახმად თავისი თხოვნისა განთავისუფლდნ თანამდებობიდან საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ქარცივაძე.

— შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა მისცეს ქალაქთა თვითმმართველობებს 18.153.917 მან. იმ გასაღის დასაფარავად, რომელიც საჭიროა 1920 წლის ივლისის პირველიდან 1921 წლის ივლისის პირველამდე საქალაქო მილიციათა შესანახად.

— თანახმად ფინანსთა მინისტრის მოხსენებისა, მთავრობამ დაადგინა გაავრცელოს მთავრობის 1920 წლ. აპრილის 13 დადგენილება საბაჟო მოსამსახურეთათვის ჯილდოს მიცემის შესახებ ყაზბეგის, ბოგდანოვსკის, ვარანცოვსკისა და ახალციხის საბაჟოებზე. ეს ხარჯი უნდა გაილოს ნატანების საბაჟოს საჭიროებისათვის გადადებულ თანხიდან.

— დიანიშნოს კომისია იმ ხელშეკრულების აღსასრულებლად, რომელიც დიდო რუსეთისა და აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებთან. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროდან დაინიშნა სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების გამგე ინჟ. გუნცაძე, გზათა დეპარტამენტისაგან დაინიშნა რკინის გზ. უფროსი ინჟ. კანდელაკი და მოძრაობის უფროსი ი. ბოკერია.

— ორი თვით მივლენილ იქმნას ინჟ. კობახიძე სატრანსპორტო საზოგადოების გამგე დირექტორის მოვალეობის აღმასრულებლად.

— სახალხო გვარდიის შტაბის გამგებლობაში მყოფი სამტრედიის რკინის გზის შკოლა დაუბრუნდეს რკინის გზის სასწავლებელს.

## დამფუძნებელი კრება

### 26 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ს. მდივანი. პირველ რიგში მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა საქონლის ქარის საწინააღმდეგო შტატის დამხმარებელი სადგურის დამთავრებისათვის 3,719,000 მან. გადადების შესახებ.

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადებით დღის წესრიგიდან მოხსნილ იქნა კანონ პროექტი რადიო-ტელეგრაფის გუნდის შტატის ცვლილებისა და დამატების შესახებ.

ივ. გომარტელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოს სახელმწიფო ბანკის ბათონის განყოფილების შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

## ფინანსთა სამინისტრო

ფინანსთა სამინისტროში თამბაქოს ქარხანა „მარი“-ს საქონლსა საზოგადოების გამოგობამ აღძრა შუამდგომლობა, რომ ამ საზოგადოებას დართონ ნება გამოიყენოს 75.000 აქტია ლირებული 7.500.000 მან. აქციების გამოშვების საჭიროებას გამოგობა ასაბუთებს მით, რომ მას სურს ცეცხლით განადგურებული ქარხნის აღდგენა.

— ერთმა მსხვილმა სავაჭრო ფირმამ ფინანსთა სამინისტროს მიმართა თხოვნით, რომ მას ნება დართონ საფრანგეთში 30.000 ტონი მარგანეცის გატანისა; ეს მარგანეცა გადაიკვლება რესპუბლიკისათვის საქარო სავაჭროებზე.

— კახელ მევენახეთა ამხანაგობა „კახეთ-მა“ შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა სამინისტროს წინაშე, 120 მილ. მან. 5 წლის ვადით სესხით მიცემის შესახებ. ამ სესხის საჭიროებას ამხანაგობამ ამტკიცებს მით, რომ ამას მოითხოვს სახელმწიფოებრივი ხასიათის ინტერესები, რომლებსაც შედეგათ მოყვება მშობლიურ მეღვინეობის გაუმჯობესება. უმთავრესი მიზანი ამხანაგობისა არის ღვინის დაყენების გაუმჯობესება რათა ამ გვარათ ჩვენ ღვინოს შეეძლოს ადგილობრივსა და უცხოეთის ბაზარზე კონკურენცია გაუწიოს საზღვარ გარეთის ღვინოებს.

— ნოემბრის 29 ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომაზე განიხილავენ შემდეგ საკითხს 1) აბაშის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის, 2) ოზურგეთის კომერციულ ბანკის, 3) ახალციხის ბანკის, 4) ფრანგულ-ქართულ სავაჭრო კამპანიის ფირმით დაარსებულ საქონლსა საზოგადოების წესდების დამტკიცების საკითხებს, 5) საქართველოს ცენტრალურ გადასახადებსა და თანდასხვების საზოგადოება „კავშირის“ ა და 6) ტფილისისა და ყოფილ ნაჭარების საბაჟოების საკონფისკაციო საქმეების საკითხებს.

## ქიდავ თავდასჯისათვის.

ჯერ თოფი არ გაჰარდნილა, მაგრამ ჩვენი მებრძოლნი მაინც საომარ მდგომარეობაში არიან; ისინი ჩვენს საზღვრებზე მტერს ელო-

დებიან. ომი დამლუპველია სახელმწიფოსთვის. ის სპობს ხალხის დოვლათს, ამცირებს მუშახელს, ჰქმნის ჯოჯოხეთურს, აუტანელ პირობებს. მაგრამ როცა ის აუცილებელია, როცა მას თავზე გვახვევენ, როდესაც ენუქრებიან ჩვენს არსებობას, მაშინ მსხვერპლს არ უნდა დავერიდოთ; ყველაფერი ფრონტისთვის, ჩვენი სიცოცხლე და ქონება; აი როგორი უნდა იყოს დღევანდელი ჩვენი დევიზი. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი სახელმწიფო ეკონომიურად დასუსტებულია უმეტესად გარეშე პირობების ზეგავლენით. თვითეული მშრომელი მოქალაქე გრძობს დღეს ამ „გაჭირვებას“ მაგრამ ეს უფრო მძიმედ არის საგრძნობელი მთლიანად სახელმწიფოსათვის. მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეს მაინც იძულებულ ვართ სახელმწიფო ხაზინიდან ვხარჯოთ ყოველდღიურად ომის საჭიროებისათვის მიღებულნი. ასეთი ხარჯების ატანა სახელმწიფო ხაზინისთვის ანელია, თუ საზოგადოების მხრივ რეალური დახმარება არ იქნა. უსათუოდ საქართველო დღეს მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ყურადღება ამ მხრივ იქნას მიპყრობილი. თვითეულმა მოქალაქემ უნდა დახსახოს თავის ყოველ დღიურ ცხოვრების მიზნად, რომ იხრუნოს ფრონტის სიძლიერისთვის, მისი გამარჯვებისთვის, რადგანაც თვითეულ ჩვენთაგანს უნდა ღრმად სწამდეს, რომ ეს მისი საკუთარი გამარჯვებაა. მისი საკუთარი, პირადი ინტერესების დასაცავად, თავისუფალ სამშობლოს შესანარჩუნებლად.

შესდგა ფრონტის მომხმარებელთა კომიტეტი, რომელიც მოუწოდებს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, გაილოს თავისი წვლილი; ვისაც რა შეუძლია, მცირედიც დიდი მადლობით მიიღება. თუ ჩვენი საუკეთესო შვილი სიცოცხლეს არ იშურებენ და შეკრდა დამხმარებულნი აქვთ მტერს ტყვეობისთვის, ნუ თუ ჩვენ ქონება უნდა დაიშროთ, ან კი შეგვარება ქონება, რომ მტერი ჩვენ ტერიტორიაზე შემოიჭრას; ჩვენ სარჩო-საბადებელსაც ხომ ისეთივე ბედი ეწვევა, როგორც ეწვევა საწყალ სომხეთის ხალხს დოვლათს, მის ნაამარს.

რეალურ დახმარებაში გამოიხატება მორალური დახმარება; ჩვენ მებრძოლ ჩვენი ასეთი ყურადღება, მზრუნველობა გაამხნეებს, გაუორკვეებს ენერჯიას; ის უფრო მედგრად და მამაცურად იბრძობებს, როცა დარწმუნებულია, რომ მისი ოჯახი ღვთის ანაბარად არ არის მიტოვებული, როცა იცის, რომ მისი შინ მიტოვებულ ცოლშვილს არც სიმშვილი შეაუწყებს და არც სიცოცხლე.

საქართველო ეხლავ დაარსდეს რესპუბლიკის თვითეულ ქალაქში, სოფელში ფრონტის დამხმარე კომიტეტი, რომელმაც კავშირი უნდა დაიჭიროს ტფილისში არსებულ ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტთან. დიდმა, პატარამ, ლარბმამ, ვიღადადრამ ყველამ უნდა გაილოს თავისი წვლილი, ყველამ უნდა მოიხადოს, შეძლებისდაგვარად თავისი ვალი სამშობლოს წინაშე, როცა მას საფრთხე მოეცის.

ჩვენში უმეტესად დღეს სასურსათო კრიზისია, ამისათვის მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად სურსათის შეკრვებას. ჩვენმა გლეხობამ არ უნდა დაზოგოს თითო კოთხო ხორბალის თუ ფოხალი სიმინდის შეწირვა ფრონტისათვის; ამას არ ექნება იძულებითი ბეგრის ხასიათი, ის მის კეთილსურვილზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ არ უნდა დაიფიქსონ, რომ ისინი ვალდებული არიან დახმარება აღმოუჩინონ სახელმწიფოს ასეთ დროს. ჩვენი ხალხს იმდენი მოქალაქობრივი შეგნება კი შესწევს, რომ მან საყვებით გაითვალისწინოს მოსალოდნელი საფრთხის შედეგი და მის თავიდან ასაცილებლად არ დაზოგოს სიცოცხლე და არც ქონება.

მაშ, ვიზრუნვით ყველამ „ზურგში“ ფრონტის ძლიერებისათვის, შემოვკრებთ ყველა ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის გარშემო, საჩქაროდ შევიტანოთ იქ ჩვენი წვლილი. მებრძოლი.

## უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობები).

### რუსი ლეგაციები.

ლონდონში დამკვიდრებულმა რუსმა ლეგაციებმა განაწესეს რუსული პაპიროსების დიდი ქარხანა. ამასთანავე გახსნეს სხვა და სხვა მცირე სახელოსნოები. ინგლისელი მრეწველები სიამოვნებით აძლევენ ფინანსიურ დახმარებას ამ მცირე საწარმოო დაწესებულებათ.

### რუსეთის საქმეები

ჩეხო-სლოვაკიის პრემიერ მასარის საზღვარი ჰქონდა კერენსკისთან რუსეთის საქმეების შესახებ. ამ ხანგრძლივი თათბირის შედეგებს საიდუმლოდ ინახავენ.

### მიწის ძვრა.

გერენდაში ძლიერი მიწის ძვრა მოხდა.

### არეულობა.

სალამანკაში სერიოზული არეულობა მოხდა. დემონსტრაციაში მონაწილეობას დებულობდა მრავალი ქალი. არეულობა ცხოვრების გაძვირებამ გამოიწვია.

### უპარტიო კაბინეტი

მეფემ ქრისტიან-შტადტის გუბერნატორს ბარონ-დე-გირს მიანდო საქმიანი უპარტიო კაბინეტის შედგენა.

### ამნიცია.

მილიერანმა პრეზიდენტად არჩევს გამოდამატირებულით ამნიცია გამოაცხადა. განთავისუფლეს სამოქალაქო დანაშაულისა და სამხედრო დანაშაულისათვის დაპატიმრებული 305 კაცი.

### პროფ. კავშირთა ფედერაცია.

გერმანიის პროფ. კავშირთა ფედერაციამ, რომელშიც 52 პროფესიონალური კავშირი შედიოდა, ამ უკანასკნელ წელს თავის წევრთა რიცხვი 4 1/2 მილ. კაცით გააძვირა. სულ ფედერაციაში 8 მილ. კაცი ითვლება.

### ვაზეთებიდან.

### სპარსეთის ახალი კაბინეტი.

თეირანიდან მოსულ ცნობების მიხედვით მუბარაღ-დოვლის კაბინეტი გადადგარა. სეპახბარი აბაშომს შეუდგენია ახალი კაბინეტი შემდეგი შემადგენლობით: სეპახბარ აბაშომ—იქნება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და დიკავებს აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილს; ნასროლ მოლკი იქნება უპარტიული მინისტრად, ფინანსთა მინისტრად—ამინოლ-მოლკი; იუსტიციის—მირზა სულეიმან-ხანი; სამხედრო—ამირ ნიზამ; ფოსტა-ტელეგრაფის—სარდარ მოგამიდი; სახალხო განათლების—ვახიდოლ-მოლკი ვაჭრობა-მრეწველობის ივჯე ვახიდოლ-მოლკი იქნება. გარეშე საქმეთა მინისტრად ფაზი-მოლ-დოვლი.

### ირლანდიის საკითხი.

არტურ გენდერსონის აზრით ირლანდიის საკითხის გარდასაწყვეტად საჭიროა მოწვეულ იქნას კანონმდებლობითი კრება პროპორციონალურ წარმომადგენელთა საუფლებოზე. ამ კრების საგანი იქნება გამოიმუშავოს კონსტიტუციის პროექტი, რომლის ძალით უნდა დაეცლი იყოს ირლანდიის მცხოვრებთა მოთხოვნილება და ინტერესები. გენდერსონი ამბობს რომ ირლანდიის ჩამოშორება ინგლისიდან ეს თვით ირლანდიას მოუტანს ცუდს შედეგებსა. ირლანდიის ეკონომიური ინტერესი მოითხოვს რომ იგი ისევ მჭიდროდ იყოს დაკავშირებულ ინგლისთანაო.

## საბჭოთა რუსეთში

(საინფორმაციო განყოფილების ცნობები) „ტანი“-ს ცნობით საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულ ციმბირის გლეხებს დაუკავებიათ ქ. ტომსკი. ხელთ უგდიათ მრავალი კომისარის; ამ კომისარების ნაწილი უკვე დაუხვრეტიათ.

### ს. ი. მ. შ. ი. ლ. ბ. ა.

შუა რუსეთში ჰერის გაზადვის გამო თურქესტანში საშინელი სიმშლია. ამას გამოხალხი საბჭოთა მთავრობას მტრულად უყქერის.

### სურსათის გაზიდვა.

„ტანი“ გადმოგვცემს, რომ ბოლშევიკები ამავე პოლიტიკას ადგანან აზერბაიჯანში, გამოაქვთ ამ ქვეყნიდან სურსათ-საზოგადოების გამოც აზერბეიჯანელებს შიმშილი ელითო.

### სამხედრო ცნობა.

26 ნოემ. მოზირის რაიონში ჩვენი ცხენონები ბალახოვიჩის დარჩენილ ჯარის ნაწილებს სდევნან. პრიპიატის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლის შემდეგ ბალახოვიჩის ერთ-ერთი რაზმი დაამარცხა. ტუროვის სამხრეთ-აღმოსავლეთით და პრიპიატზე შეტევის განაგრძობს. წამოვიყვანეთ ტყვეები. დამატებითი ცნობებით ელსკის დასავლეთით ჩვენებს წამოუყვანიათ 73 ტყვე, ხოლო ხელთ უგდიათ 2 ზარბაზანი და სხვა ქონება. სტამბოლში კადეტთა ხელმძღვანელობით შეხდვა შავრაზმელთა ორგანიზაციების თათბირი, რომელზედაც დადგინეს: ვრანგ-

ლის სამხრეთ-რუსეთის მთავრობამ უნდა იარსებოს საბჭოთა რუსეთთან ომის გასაგრძელებლად. შავრაზმელებს აუცილებლად მიანინიათ, რომ ვრანგელი დარჩეს „შუამღებს მთა, ვარსარდლად“—პარიზში ესერთა ერთი ნაწილი ფიქრობს შეადგინოს თეთრგვარდიელთა კომიტეტი საბჭოთა რუსეთთან ომის გასაგრძელებლად. გერმანიაში უმუშევრობა ძლიერდება. კომუნისტთა ბელადმა ბრანდლერმა განაცხადა, სამრეწველო ცენტრებში ნახევარ მილიონამდე უმუშევარი ამყოფებოა.

### ნოტა რუმინეთის მთავრობას.

ჩიჩერინმა რუმინეთის მთავრობას გაუგზავნა ნოტა იმის გამო, რომ ვრანგელს სურს თავის ჯარის დარჩენილი ნაწილების რუმინეთის ტერიტორიაზე შეგროვება. ჩიჩერინი იმედს გამოსთქვამს, რომ რუმინეთი ნებას არ დართავს ვრანგელს, რომ მან თავისი მიზნები სისრულეში მოიყვანოს.

## ღეკეშები

(საქართველოს დემუკრატია სააგენტო).

### ლიონის ცნობები.

#### სომხეთის საკითხი.

პრესაში გამოქვეყნდა ერთა ლიგის საბჭოს მიერ გაგზავნილი დეპეშების ტექსტი. ეს დეპეშები, რომლებიც სომხეთსა და მუსტაფა ქემალის შორის შუამდგომლობას ეხება, გაგზავნა ერთა ლიგაში შემაჯავლ სახელმწიფოებს და შეერთებულ შტატებს.

#### იტალია და ლონდონის თათბირი.

ინგლისის მთავრობამ ლონდონის თათბირზე მიიწვია ჯიოლიტი. თუ ჯიოლიტი ვერ შესძლებს ლონდონის გამგზავრებას, ის შემთხვევაში გრაფ სფორცის გაგზავნას ითხოვს. სფორცა ინგლისში ჩავა შაბათს ან კვირას. მის ჩასვლამდის მის მაგივრობას გასწევს მარკიზ იმპერიალი.

ხუთშაბათს საღამოს ლონდონში ჩავიდა ქორე ლეგი თავისი თანამშრომლებით. სადგურ ვიქტორიაზე მას შეხვდნენ ლიონ ჯორჯი და პარიზში ყოფ. ინგლისის ელჩი ლორდი დერბი.

#### იტალია და გერმანია.

იტალიის მთავრობა სტეფანის სააგენტოს საშუალებით კატეგორიულად და ოფიციალურად უარყოფს ვაზ. „მორგენ-ცაიტუნგში“ გამოქვეყნებულ ცნობას, რომელიც იტალიასა და გერმანიას შორის ზემო სილენზიისა და ტროლის შესახებ ფარული შეთანხმების დადებას შეეხება.

#### ზემო ხელწიხაში.

მოკავშირეთა კომისიამ გასცა ბრძანება ხუთი დღის განმავლობაში ზემო-სილენზიის სამრეწველოებში შეადგინონ ოთხ-თხუთი წევრისაგან შემდგარი კომისიები. ამ სიაში არ შეიძლება შეტანილ იქნან მოხელეები და სასულიერო წოდების პირები. კომისიაში შევლენ პოლიციელები და გერმანელები.—თანასწორობა.

#### ვენისხელოსი ნიცაში.

საბერძნეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ვენისხელოსი ხუთ შაბათს ნიცაში მივსდა.

#### იტალია და საფრანგეთი.

გუნარისმა ვაზ. „ტემპოს“ ათინელ კორესპონდენტს განუცხადა, რომ საბერძნეთის სურს იტალიისთან შეთანხმება. გუნარისის აზრით შეთანხმება ამ ორ სახელმწიფოს შორის ადვილათ მოიპოვება; დაივიწყებენ წარსულს, იფაქრებენ მხოლოდ ქვეყნის მომავალ კეთილდღეობაზე. იტალია და საბერძნეთი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამგვარ დამოკიდებულების დამყარებით ისინი ევროპის ხალხთა სიყვარულსა და პატივისცემას დაიმსახურებენ.

#### ერთა ლიგაში.

წარსულ კვირაში სამხრეთ ამერიკის დელეგატებმა მოითხოვეს, რომ ერთა ლიგაში ფრანგულ და ინგლისურ ენებთან ერთად ოფიციალურ ენათ ეცნოთ ესპანურიც. ამგვარივე მოთხოვნილება წამოაყენეს იტალიის დელეგატებმა. ერთა ლიგამ გადასწყვიტა ნება დართოს დელეგატებს თავის ენაზე ლაპარაკისა იმ პირობით, რომ მათი სიტყვების გადათარგმნის ხარჯი თვითონ მათ ჩამოიღონ.

#### კრიზისი მრეწველობაში.

მოსალოდნელია კრიზისი სალითონო მრეწველობაში. მუშებმა წარმოადგინეს ახალი მოთხოვნილებანი, რომლებიც მწარმოებლებმა მიუღებლათ ჩასთვალეს. ახალი ტარიფთ თვითეულ მუშას 120,000 კრონა უნდა მიეღო წელიწადში.

# კანტორისაგან

გაზეთი

## „საქართველოს რესპუბლიკის“

კ ა ნ ტ ო რ ა

**ახსადავს, რომ ნისია ხალის მოგზაირ დაწესებულებას  
20 ნოემბრიდან გაზეთი არ გამოვიდეს ვინც ამ თვის  
გოლომდა ვულს არ შეაოიხს დაკლებული ნოქრები  
შეადავს ალარ გაგზავნავს.**

**„გაჭრობის დღე“.**  
პარიზში „გაჭრობის დღე“ მშენებრთა  
ჩაიარა. სავაჭრო ფირმები მორთული იყო  
დროშებით. მთავარ ქუჩებში გამოფენილი  
იყო განცხადებები, რომლებიც საზოგადოე-  
ბას აუწყებდნენ, რომ მთელი დღის შემოსავ-  
ლი ანაწილდნენ სესხისათვის გადაიღება. საღამოს  
სავაჭრო პალატაში გაიმართა ბანკეტი, რომ-  
ელზედაც ფინანსთა მინისტრმა სიტყვა წარ-  
მოსთქვა.

### გერმანული ცნობები.

#### პრესის პროტესტი.

გერმანული პრესა ენერგიულ პროტესტს  
აქცხადებს საფრანგეთის პრემიერ ლევის სი-  
ტყუების გამო, რომელმაც განაცხადა, რომ  
ზემო სილენიის მცხოვრებთ, რომელნიც ამ ეა-  
მად ზემო სილენიაში არ სცხოვრობენ, უფ-  
ლება არა აქვთ პლემბიტოში მონაწილეობის  
მიღებისა. გერმანიის პრესა აცხადებს, რომ  
საზავო ხელშეკრულების ძალით ყველა ჩეხო-  
სილენიელს უფლება აქვს პრემბიტოში მო-  
ნაწილეობის მიღებისა.

გერმანულ პრესას მოყვას ბელგიის თავდა-  
ცვის მინისტრის. სიტყვა იმის შესახებ, რომ  
ბელგიას საჭირდება ძლიერი ჯარი. გერმა-  
ნულ გაზეთებს მოყვით აგრეთვე ინგლისის  
ერთ-ერთ გენერალს მიერ კემბრიჯში წარ-  
მოსთქმული სიტყვა. გენ. უოტკინს თუ ინგლისის  
სურს გამარჯვებულ იქმნეს საჭიროა ძლიერი  
საზღვაო ფლოტთან ერთად ძლიერი საჰაერო  
ფლოტიც შექმნას; შემდეგი ომი ალბათ პა-  
ერში მოხდება, განაცხადა ამას წინათ მარ-  
შალ ფოშა.

გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ საფრან-  
გეთს ზედმეტი ნახშირი აქვს. და ამის და-  
სამტკიცებლად მოჰყავს ცნობები „პტი პა-  
რიზიენსა“ და ლიუქსენბურგის გაზეთებიდან.  
ამ ცნობების მიხედვით საფრანგეთი ლიუქ-  
სენბურგის მისცემს 90 ათას ტონ ნახშირს  
საკუთარ მომარაგებიდან.

### ზარალის გამორკვევა

„დეიტუე ალგემინე ცაიტუნგ“ ი მოით-  
ხოვს, რომ ანტანტამ უხლავე გამორკვიოს  
გერმანიის მიერ გადასახდელი ზარალის რაო-  
დენობს

### ქაბალისტების ნოტა ჩიჩაინს

ქემალისტებმა შემდეგი ნოტა გაუგზავნეს  
ჩიჩაინს:

ოსმალეთის დიდი ნაციონალური კრების  
კომისარი მადლობას გიჯხადებს თქვენ ჰუმა-  
ნიურ წინადადებისთვის, რომ ოსმალეთ-სომ-  
ხეთის ომს ბოლო მოეღოს. ამის გამო ჩვენ  
ხელდებულნი ვართ გამოვსთქვათ შემდეგი  
ჩვენი მოსაზრებანი:

- 1) თქვენი პირველი წინადადება, რომე-  
ლიც გამოგზავნილი იყო 3 ივნისს 1920 წ.  
დიდი მადლობით მივიღეთ 20 ივნისს 1920  
წ. ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენი არ-  
პიის შეტევა შეწყვეტილ იქნება სომხეთის  
ტერიტორიაზე და ბოლოს მოუღებთ სომეხ-  
თა ხალხის დარბევას. 2) მას აქვთ დაშლა-  
კლებმა არ წამოაყენეს არავითარი ვადა და  
ჩვენი მხრიდანაც ამ საკითხებზე არავითარი  
შუამავლობა აღარ ავძარით. მხოლოდ აღსა-  
ნიშნავია, რომ ამ ხნის განმავლობაში სომ-  
ხებს სურდათ ესარგებლათ და განეხორციე-  
ლებინათ თავიანთი იმპერიალისტური გულის  
ზრახვანი. მათ მოინდომეს ჩვენი აღმოსავლე-  
თის პროვინციების დაჭერა, რაიც ჩვენ უდა-  
ვო კლუფნილებას შეადგენს და ამაზედ ლა-  
პარაკიც ზედმეტია. 3) 24 სექტემბერს სომ-  
ხები ისე გათამამდნენ, რომ თავს დაესხენ  
ჩვენ ჯარებს იმ იმედით, რომ დაეჭურათ  
ჩვენი აღმოსავლეთის პროვინციები და ჩვენც  
იძულებულნი ვიყავით დაგვეცვა და გაგვე-  
წია წინააღმდეგობა. დავიჭირეთ რა ყარსი 2  
ნოემბერს ჩვენ მათ წინადადება მივეციით ზა-  
ვის ჩამოსავდებად და 9 ნოემბერს შე-  
ვატყობინეთ ჩვენი პირობები, რომელნიც  
ჩვენის ღრმა რწმენით იმდენად ზომიერია,  
რომ შეიძლება ჩავთვალოთ სრულ სამართ-  
ლიანობად, რომლის შესახებ თვით ოვანჯა-  
ნიანმა თავისი ნოტაში 10 ნოემბერს თანხ-  
მობა განაცხადა. 4) სომხებს უნდათ დროე-  
ბით შესწყვიტონ სამხედრო მოქმედება, რა-  
ზედაც აღმოსავლეთის ფრონტის მთავარ სარ-  
დალი დასთანხმდა. სომხებმა განგვიცხადეს,  
რომ ჩვენ დავარდვიეთ დროებითი ზავი, მა-  
შინ როდესაც ეს დროებითი ზავი ჯერ არ  
იყო ჩამოვარდნილი, რადგანაც მათ უარი გა-  
ნაცხადეს. 5) ოსმალეთი მზად არის წინა-  
დაებულიად ზავი შეკრას სომხეთთან თანხმდ  
მ—10 ამ თვის ჩვენ მიერ გამოგზავნილ ნო-  
ტაში მხოლოდ იმ პირობით, რომ გამოცხად-

დეს დროებითი ზავი წინასწარ პირობებზე  
მოსალაპარაკებლად, რადგან ვიმეორებთ ჩვე-  
ნი ერთად ერთი სურვილია დავიცვათ ჩვენი  
ქვეყნის დამოუკიდებლობა თავის გეოგრაფი-  
ულ საზღვრებით და უზრუნველვყოთ ყოველ-  
გვარ საფრანგისაგან. ოსმალეთის დიდი ნა-  
ციონალურ კრების მთავრობამ გადაწყვიტა  
არავითარ დამოხმობაზე არ წავიდეს მთლიანო-  
ბასა და დამოუკიდებლობის. (გამოშვებულია  
სამი სიტყვა. ინგლისურ რადიოს შეუშლია  
ხელი) და ზავის ნაციონალური პირობები,  
გატყობინებთ, რომ ჩემი მთავრობა მზად  
არის დაიწყოს საზავო მოლაპარაკება სომხე-  
თის რესპუბლიკასთან (გამოშვებულია კიდევ  
ოთხი სიტყვა).

ნოტას ხელს აწერს ქაზამ კარა-ბეგარ.

### სომხეთი

ოფიციალურად იუწყებიან: ყოფილი სასო-  
ფლო სამეურნეო მინისტრს სიმონ ვრაციანს  
დაევალა ახალი კაბინეტის შეადგენა: ვრაცი-  
ანმა კაბინეტი უკვე შეადგინა: მინისტრებ-  
თაგან 4 დაშლაცქუტურანის, 2 სოც.-რევოლუ-  
ციონერთა პარტიას ეკუთვნის.

— სომხეთსა და ანგორის სამხედრო სარ-  
დალობის შეთანხმებით დროებითი ზავი დეკ-  
ნ გაგრძელდება.

— ნოემბრის 25, გუმბრში დაიწყო სომ-  
ხეთ-ოსმალეთის საზავო კონფერენციის სხდო-  
მები. რესპუბლიკის დელეგაციას თავმჯდომე-  
არეობს მინისტრი თავმჯდომარე ა. ი. ხატი-  
სოვი, დელეგაციის წევრებია: უკანასკნელი  
კაბინეტის ფინანსთა მინისტრი ა. ვილხანი-  
ანი და ყარსის გუბერნატორი ს. კარგანოვი.  
ანგორის მთავრობის დელეგაციას მეთაურობს  
ოსმალთა ძალების მთავარ სარდალი ქაზიმი  
კარაბეგარ ფაშა.

— შესდგა ახალი კაბინეტი, რომელშიც  
შედიან: დაშლაცქუტურანები ს. ვრაციანი,  
თავმჯდომარე და სავარეო საქმეთა მინისტ-  
რი, დროებით სამხედრო ა. იონისიანი, ა. ტერ-  
ტიანი; სოც.-რევოლ. ა. ხანდკარიანი და  
ვ. მინახორიანი.

— მინ. თავმჯდომარემ ს. ვრაციანმა პარ-  
ლამენტში ახალი კაბინეტის დეკლარაცია წა-  
იკითხა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მთა-  
ვრობა მისწრაფის ზავის შესაკრავად ყოველ  
ღონეს იხმარს, რომ მეზობელ ქვეყნებთან  
კეთილი განწყობილება დაამყაროს.

### ახალი ავბები

→ ცეცხლი. ნოემბრის 25 ს ტერ-პარსე-  
გოვის ელექტრონის სადგურს (პარკოვის ქ.  
№ 32) წაიგდო ცეცხლი, რის მიზეზიც ჯერ  
ჯერობით გამოუჩვენებელია. მე-11-უბნის კო-  
მისრის მიერ მიღებული ზომებით და ცეცხ-  
ლის მქრობელი რაზმის საშუალებით ცეცხ-  
ლი ჩააქრეს. გამოძიება სწარმოვს.

→ შეშის დაწვადება. ერობათა კავშირის  
კომიტემა 10 სამახრო ერობას შემდეგი ში-  
ნაარსის წერილი დაუგზავნა: რესპუბლიკაში  
შეშის დაწვადების საქმე მეზად ცუდ მდგო-  
მარობაში იმყოფება. თუ ამ მხრივ საჭირო  
ზომები არ იქნა მიღებული მდგომარეობა  
კიდევ უფრო გაუარესდება. ერობათა კავშა-  
რის კომიტეტი ფიქრობს, რომ საკითხი მო-  
ითხოვს ყოველ მხრივ და დაწვრილებით გან-  
ხილვას და ამიტომ მოითხოვს, რომ ყველა  
ერობამ, რაც შეიძლება საჩქაროთ გამოგზავ-  
ნოს ცნობები შემდეგ კითხვებზე: 1) რა და  
რა ადგილებში და რამდენი შეშა შეიძლება  
იქმნეს დამზადებული. 2) რამდენი დაუჯდე-  
ბა ამ შეშის დაწვადება, თუ საჭიროა კერძო  
კავიტალის დახმარება ოა პირობებში, და  
სხვ. ერობათა კავშირის კომიტეტს იმედი  
აქვს, რომ ამ გზით იგი რესპუბლიკისათვის  
სასურველად გადასჭრის შეშის საკითხს.

→ ფობა-ტელეგრაფის სამმართველოში.  
ფობა-ტელეგრაფის სამმართველოდან იუწყ-  
ებიან: ნოემბრის 25 დროებით, განსაკუთ-  
რებულ ტელეფონის ხაზის მოწყობამდე, და-  
იწყო ტელეფონით დამოკიდებულება ტფი-  
ლის-ახმეტასა და თელავს შორის დღეშეთის  
ტელეფონის ქსელით; მუშაობა სწარმოვს.  
შემდეგ საათებში: 9—10 მდე, 13—14 საათ.  
და 17—18 საათამდე.

→ მარგანეცის გაჭანა. ლონდონში შესდგა  
„ჩემო“-ს საზღვარ გარეთის ოპერაციების ზე-  
დამხედველი და საკონტროლო კომიტეტი,  
რომლის თავმჯდომარეთაც მოწვეულია ნ. ნი-  
კოლაძე, თავმჯდომარის ამხანაგად კი დიუ-  
პრე.

### სამხატვრო პრონიკა

→ ხახელშიფო ობერა. კვირას, 28 ნოემ-  
ბერს „ახალსომ და ეთერი“; ეთერის როლს  
შეასრულებს—თ. მ. ოქროპირიძე, მარისის—  
ქართულ საოპერო სტუდიის მოწვეუ ს. გ-  
გაბაშვიძე, აბესალომი—სარაჯიშვილი, მურმა-  
ნი—ელიოზიშვილი. ლექტურს ითამაშებენ—  
ალბერტი და ლეონოვა.

### კოოპერაციითა წარმოვად- გენლავის უჩილოვა.

(გაგრძელება).

ყრილობამ მოისმინა ევგენ დარჩაის მოხ-  
ხენება საერთაშორისო მდგომარეობის და  
კოოპერაციის შესახებ. მომხსენებელმა დახა-  
ტა საერთაშორისო ეკონომიური მდგომარე-  
ობის სურათი და ის როლი, რომელიც კოო-  
პერაციამ უნდა შეასრულოს ლდევადლდ მო-  
მენტში. მეორე დღეს—25 ნოემბერს—ყრი-  
ლობამ მოისმინა გამგეობის თავმჯდომარის  
მოსხენება ცეკავშირის მოქმედების შესახებ  
1919 წ. განმავლობაში, მოისმინა აგრეთვე  
მოსხენებები ცალ-ცალკე განყოფილებისა:  
სავაჭრო, ფინანსური, საკომისიო და სხვ.  
მოსხენებიდან გამოიკვია, რომ საანგარიშო  
წლის განმავლობაში ცეკავშირს მიუღია  
6,237,516 მან. მოგება. მომხსენებლები აღ-  
ნიშნავდნენ, რომ მათ მუშაობას ხელს უშლი-  
და და მეტად აფერხებდა საერთაშორისო  
ეკონომიური არეგ-დარევა და წმინდა ობიე-  
კტიური პირობები, ხელს უშლიდა აგრეთვე  
საქმაო კაპიტალის უქონლობა. მართალია  
მოსკოვის სახალხო ბანკის თფილისის განყო-  
ფილება და კოოპერატიული ბანკი შესაძლებ-  
ლობის ფარგლებში სესხით ხელს უწყობდნენ  
ცეკავშირს, მაგრამ კაპიტალის უქონლობა  
მიინც აფერხებდა საქმეს. ცეკავშირის საქმი-  
ანობას რამდენაიმე აფერხებდა მოკავშირე  
კოოპერატივების დავალიანება, რომელიც  
1920 წ. 1 იანვრისათვის უდრიდა 9.935,845  
მანეთს. გარდა ამისა მოკავშირე კოოპერატი-  
ვებიც თავის დროზე ვერ აბრუნებდნენ მათ  
მიერ წალბულ საქონლის ღირებულებას.  
კავშირის გამგეობის მოქმედებას აფერხებდა  
აგრეთვე ზოგიერთი გამოცდილი თანამშრომ-  
ლის ჯარში გაწვევა, ან სამხატვრიდნ გასვ-  
ლ—მოსხენებიდან აგრეთვე გამოიკვია, რომ  
კავშირის საწარმოო დაწესებულებათა მოქმე-  
დება საანგარიშო წლის განმავლობაში  
696,697 მან. წმინდა მოგებით დასრულბუ-  
ლა. აქედან—საპნის ქარხანას მიუცია  
280832 მან., საკონსერვო ქარხანას—81722  
მან., მექანიკურ სახელოსნოებს—124952 მ.  
ქების ქარხანას—17654 მ., სტამბას—198529  
მან.

საანგარიშო წლის განმავლობაში ცეკავში-  
რის მხრით დიდი ყურადღება იყო მიქცეული  
კულტურულ განმანათლებელ დაწესებულება-  
ზე, ამ წელს მოწყობილ იქნა ღრამატიული  
სტუდია, კაქელა და წლის დასასრულში მოწ-  
ყობილ იქნა კინემატოგრაფიული განყოფი-  
ლება. საერთო სავაჭრო ხარჯების ჯამიდან

კავშირის კულტურულ განმანათლებელ საქმე-  
ებზე დაუხარჯავს 8,12%.

1919 წელში სამი შემსყიდველი პუნქტი  
მუშაობდა: ფოთის, ბაქოსი და ბათუმის.  
შემსყიდველი პუნქტების დაარსების დროს  
კავშირი მიზნათ ისახავდა: 1) საზღვარ გარე-  
თის ბაზრის საქონელთა შესყიდვის ფართოთ  
წარმოებას. 2) საქონლის, უმთავრესათ ნედ-  
ლი მასალის საზღვარ-გარეთ გატანას და 3)  
ამ ქალაქებში შექმნილ საქონელთა განაწი-  
ლების საქმეში პუნქტებისათვის საგანმანაწი-  
ლებლო ფუნქციების დაკისრებას. შემსყიდ-  
ველმა პუნქტებმა შესაძლებლობის ფარგლებ-  
ში მიზანს მიადწიეს. ყველა მომხსენებლები  
აღნიშნავდნენ, რომ რის გაკეთება შეიძლე-  
ბოდა არსებულ რთულ და მძიმე პირობებში  
კავშირის გაგვეობამ ის გააკეთაო.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოკავშირეთა ბიუ-  
როს წარმომადგენლის მოხსენება. მომხსენე-  
ბელი აღნიშნავს დადებით ხასიათს კავშირის  
მუშაობაში და გზა და გზა მიუთითებს იმ  
ნაკლებზე, რომელიც თან ახლდა ცეკავშირის  
მუშაობას. სხვათა შორის აღნიშნავს ანგარი-  
შების წარმოების სისუსტეს, შტატის შემოკ-  
ლების საჭიროებას და თავის მოხსენებას ას-  
რულებს დასკვნით, რომ ცეკავშირის გამგეო-  
ბის შემადგენლობა პიროვნულად უკეთესი  
რომ იყოს, მაშინ არსებულ პირობებში მე-  
ტის გაკეთება შეიძლებოდაო.

სარევიზიო კომისიის წარმომადგენელიც  
ადასტურებს იმ ანგარიშებს, რომელიც გამ-  
გეობამ წარმოადგინა და მიუთითებს გამგეო-  
ბას ზოგიერთ უმნიშვნელო ნაკლებზე. კამა-  
თი მოხსენებათა გარეშე შემდეგი სხდომი-  
სათვის გადაიღო.

### ლალო მესხიშვილი.

დღეს დიდუბის პანთეონში მიწას მიბარე-  
ბენ ძვირფას ნეშტს. ძვირფას საფლავებს ერი-  
თი ძვირფასი საფლავი მიემატება.

დღეს მარხავენ ქართულ სცენის სიამაყეს  
ლადო მესხიშვილს. ბევრი მდუღარე კრემ-  
ლებს დააბრქვევს ქართულ თეატრის მშენე-  
ბას, ბევრი ყვავილებით შეამკობს დიდი ქუ-  
რუმის შუბლს.

ლადო მესხიშვილის დაკარგვით ქართული  
თეატრი ჰკარგავს ერთ უდიდეს სასცენო  
ნიჭს, საუკეთესო ტრადიციებს და დიდხანს  
გამოეთხოვება მის მიერ შექმნილ ტიპებს.

ლადო მესხიშვილი აღარა ჰყავს ქართულ  
თეატრს. ო, რა მძიმე სათქმელია ეს სიტყვა.  
ძაძით შეიმოსა დღეს ქართული თეატრი. ქარ-  
თულმა თეატრმა დაჰკარგა თვისი პირმო  
შვილი. დღეს ქართული თეატრი მძიმე თალ-  
ხებით დამძიმებული გულით გამოეთხოვება  
თავის უძვირფასეს ხელოვნების ქურუმს.

განა შეიძლება ლადო მესხიშვილის დაფა-  
ნება ამ განსაზღვრულ გაზეთის ფურცლების  
სტრიქონებზე? ან რა საჭიროა ეხლა ეს. ის-  
ტორია თვით დააფასებს ლადო მესხიშვილს.  
ქართული თეატრის ისტორიკოსი განსაკუთ-  
რებით დიდხანს შეჩერდება ლადო მესხიშვილ-  
ზე. ოქროს ასოებით აღბეჭდავს მის სახელს,  
მარმარილოს ქვით გამოჰკვეთავს მის სახეს.

ქემსარიტად! ლადო მესხიშვილი დიდი  
მსახიობი იყო. ვისაც უნახავს ლადო—ურთიელ  
აკოსტა, ფრანც მორი, ედმონდ კინი თუ  
ჰამლეტი—ის არასოდეს არ დაიფწყებს ლა-  
დოს სახეს. ლამაზს სახეს. ლადო ხომ ლამა-  
ზი იყო. ლამაზი სცენაზე და ლამაზი ცხოვ-  
რებაშიც. მისი სახე—ეს მთელი გამმა იყო,  
შეერთება უდიდეს სცენიურ ტალანტის გან-  
სახიერება.

ლადო მესხიშვილი იყო ნამდვილი სტი-  
ქია. მასში ხმაურობდა დიდი დინამიური ძა-  
ლა. მალალი ხელოვანის ვანჰარით აღბეჭდა  
მრავალნაირი სცენიური სახე.

დიდება და კურთხევა ამ სახეებს. ისინი არ  
მოჰკვდებიან ჩვენს მესხიშვილებში. ყოველთვის  
ძვირფას სახეებათ დარჩებიან.

დღეს ვმარხავთ ძვირფას ადამიანს.

ქულები მოვიხადოთ მის წინაშე.

### დაკრძალვის ცერემონიალი.

დღეს დიდუბის პანთეონში მარხავენ ლა-  
დო მესხიშვილს. ძვირფასი ცხედარი ასენია  
ქავშეთის ეკლესიაში. დილის სრულ ათ სა-  
ათზე დაიწყება წირვა. წირვის და ანდერძის  
აგების შემდეგ მიცვალებულს გამოასვენებენ  
დაახლოებით შუალდის პირველ საათზედ.  
ეკლესიის გაღავანში სიტყვას წარმოთქვამს  
ღრამატიულ საზოგადოების წევრი ივ. გო-  
მართელი. ივ. გომართლის სიტყვის შემდეგ  
ცხედარს გაასვენებენ რუსთველის პროსპექტ-  
ზე. სამგლოვიარო პროცესია გაემართება სა-

